

## ГИДРОЛОГИЯ

- Д. П. Намгалацзе, Ю. Б. Ломидзе, Д. Н. Кучандзе. Решение обратной задачи при неустановившемся напорном движении 125

## ГЕОЛОГИЯ

- \* Ш. А. Адамия, Э. Пландерова, З. А. Кутелия, О. Д. Хуцишвили. Рэтско-геттангские отложения дизской серии (Сванети) 132

## ПЕТРОЛОГИЯ

- А. В. Окросциваридзе. Условия образования Сакенского интрузива 133

## МЕТАЛЛУРГИЯ

- Т. И. Сигуа, Б. Г. Маргиев, Н. Д. Гонджилашвили, Д. Л. Маглакелидзе, А. Г. Габисиани. Применение силикомарганца (металлоконцентрата) в качестве раскислителя стали 137
- Н. А. Вашакидзе, А. С. Вашакидзе. Определение давления металла на валки при прокатке шестигранной полосы в шестигранном калибре 141
- Д. А. Нозадзе, Г. Г. Отарашили, В. Л. Маркарян. Влияние технологических параметров компактирования на прочность боралюминия 145

## ЭНЕРГЕТИКА

- М. Д. Дадиани. Математическая модель установления оптимальной очередности сооружений МГЭС 149

## ПОЧВОВЕДЕНИЕ

- \* В. В. Лежава, Л. Г. Мачавариани, Р. И. Макашвили. Минеральные корпускулярные компоненты ортштейновых субтропических подзолистых почв 155

## ЛЕСОВЕДЕНИЕ

- У. Г. Инанашвили. Биоэкологические особенности дуба ножкоцветного (*Quercus pedunculiflora* C. Koch) пойменных лесов Алазанской долины 157

## БОТАНИКА

- \* Л. А. Канчавели. К изучению лигиофильных сумчатых грибов Черного моря 164
- Т. В. Сванидзе, Л. А. Канчавели, Н. Г. Деканоидзе. К изучению лигиофильных гифомицетов Черного моря (в пределах Грузии) 165

## ФИЗИОЛОГИЯ ЧЕЛОВЕКА И ЖИВОТНЫХ

- Г. А. Марсагишвили, В. Я. Сандодзе. Импринтинг у цыплят, находившихся в гипомагнитной среде с 5-го дня эмбрионального развития 169

შ. ადამია, ი. პლატონოვა, ზ. გუთალია, ო. ხუციავიძი

დიზის სირის რეტრო-ჰიტანგური ნალექები (სვანეთი)

(წარმოდგინა აკადემიკოსმა ლ. გაბუნიამ 26.3.1990)

ზღვიური ნალექებით (ფილიტები, თიხაფიქლები, ქვიშაქვები, გრაველიტები, კონგლომერატები, ოლისტოსტრომები, სილიციტები, ვულკანიტები, გამარმარილობული კრექვები) აგებული ძლიერ დეფორმირებული და მძლავრი (2000 მ-დე) დიზის სერია. რომელიც სეანეთში მდ. ენგურისა და ცხენისწყლის აუზებში კავკასიონის სამხრეთი ფერდის ნაოჭა ზონაში შიშვლდება, მკვლევარი გეოლოგების დიდ ინტერესს იწვევს. ამის ერთ-ერთი მიზეზია სერიის ჭრილის უნიკურობა. რაც დევონურის დასაწყისიდან ვიდრე ტრიასულის ბოლომდე მას უწყვეტ ნალექდაგროვებაში მყლავნდება. მის შემადგენლობაში კონდონტების, მიკროფორამინიფერების, მარჯნებისა და ზღვის შროშნების მიხედვით მთელი დევონური, ქვედა- და შუაკარბონული, ზედაკარბონული (?), პერმული და ტრიასული [1] ქანების არსებობა დგინდება. ჭრილში ზედაკარბონული ნალექების უთუო მონაწილეობას, ცუდად დაცული ნამარხი თრგანიზების გარდა, შემდეგი არაპირდაპირი ფაქტებიც მოწმობენ: 1) დიზის სერიაში არ აღინიშნება სტრატიგრაფიული ან ტექტონიკური უთანხმოების რამე კვალი და 2) სვანეთშივე, დიზის სერიის გამოსავლების უშუალო მეზობლობაში გავრცელებული ქვიშის წყება ფაუნისტურად უეჭვოდ დადგენილ ზედაკარბონულ შრეებს შეიცავს.

დიზის სერიის რამე შესამჩნევი უთანხმოების გარეშე მოსდევს ქვედა იურული ზღვიური ნალექები (თიხაფიქლები, ალევროლიტები, ქვიშაქვები, გრაველიტები, კონგლომერატები, ვულკანიტები), რომელთა ძირები ამონიტური ფაუნით სინემიურულად თარიღდება [2].


დიზის სერიისა და ქვედაიურული ქანების ურთიერთობის საკითხში აზრთა ერთიანობა არ არსებობს. ზოგი თვლის, რომ ქვედაიურული ნალექები ყველგან უთანხმოდ. ზოგან კი დიდი სტრატიგრაფიული ხარვეზით ედება სერიის სხვადასხვა დონეს. რაც მათი აზრით იურულის წინ კავკასიონის მთელი ზღვიური აუზის ხმელეთა დეკლევის მაჩვენებელია [3, 2]. სხვები კი ამტკიცებენ, რომ უთანხმოება დიზის სერიისა და იურულ ქანებს შუალოკალური ბუნებისაა. გადასვლი ერთიდან მეორეში უმეტესწილად თანდათანობითია და კავკასიონის იურული აუზი პალეოზოურ-ტრიასულისაგან მეტვიდრეობით განვითარდა [5—7, 1].

საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი გახდა იმ ქანების ასაკის განსაზღვრა, რომლებიც პალეოზოლოგიურად დათარილებულ სინემიურულ და ნორიულ სართულებს შუა არიან მოქცეული. ასეთი ჭრილი მდ. ენგურის ხეობაში ზუგდიდი — მესტიის საავტომობილო გზის გასწვრივ დიზის სერიისა და ქვედაიურული ფიქლების სამხრეთ კონტაქტშია ცნობილი. აღნიშნული კონტაქტური ზოლის თიხაფიქლებიდან შევარჩიეთ ნიმუშები პალინოლოგიური ანალიზის ჩასატარებლად. მიღებული შედეგები უზრუნველყოფენ ჩვენთვის საინტერესო შრეების საქმარისად სანდო დათარილებას.

სტრუქტურული  
მასალი

თიხაფიქლებით, ალევროლიტებითა და ვულკანიტებით წარმოდგენილი შემოსიურული ფაუნის შემცველი ქანები მდ. ენგურის ჭრილში 86/52 კილომეტრის ნიშნულიან ბოძთან შიშვლდება. ისინი ციცაბო რღვევით ეხებიან ალევროლიტების, თიხაფიქლებისა და ქვიშაქვების დისტას შავი სილიციტის შუაშრეებით, რომლებიც მეზოზოური იქრის გადაკრისტალებულ რადიოლარიებს შეიცავს.

რღვევიდან ჩრდილოეთისაკენ მე-19 მეტრზე ზავი თიხაფიქლებისა და ძლიერ დეფორმირებული (დაწვრილნაოჭება, ბუდინაჟი) ქვიშაქვა-გრაველიტების მორიგეობა შიშვლდება. ამ დასტის თიხაფიქლიდან (ნიმუში № 31) ე. პლან-



სურ. 1. 1—*Verichahium irregulara* Stock.; 2—*Reticulatisporites jurasicum* Stanley & Pocock; 3—*Bennetites ailucidus* Bolch.; 4—*Maratiosporites scaberratus* Couper; 5—6—*Cymatiosphaera stigmata* Coesson & Eis.; 7—*Fungi-ს სპორები*; 8—*Pterospermopsis cf. helios* Sarjeant; 9—*Classopolis* sp.; 10—*Contignisporites problematicus* (Couper) Dettm.; 11—*Taniaesporites rhaeticus*.

დეროვამ განსაზღვრა *Contignisporites problematicus* (Couper) Dettm., *Maratiosporites scaberratus* Cooper, *Endosporites* sp., *Classopolis classoides* Pflug., *Calialasporites* sp., *Densoisporites* sp., რომლებიც აღრეული ლისისათვისაა დამახსიათებელი.


აქედან 32 მ-ში (54-ე მ-ზე რღვევიდან) აღებული № 34 ნიმუში გვიანრეტულ-აღრელიასური ასაკის ზღვიურ პალინომორფებს *Pterospermopsis cf. helios* Sarjeant., *Cymatiosphaera* sp. „A“., *Rhombodella kendelbachia* Morby-შეიცავს.

ჭრილში სტრატიგრაფიულად კიდევ უფრო ქვევით (რღვევიდან 62 მ-ზე) აღებული მასალიდან ერთ-ერთი შავი ფერის თიხაფიქალი (ნიმუში A) ზღვიური პალინომორფებით მეტად მდიდარი აღმოჩნდა. განისაზღვრა შემდეგი რეტულ-აღრელიასური ფორმები: *Domasia* sp., *Micrhytidium minutispinum* Wall,

*Pterospermopsis* sp., *Leiosphaeridia* sp., *Veryhachium* cf. *formosum* Stock Will, *Cymatiosphaera* *stigmata* Cookson and Eis., *Vetzeniella* *neocomica* Gocht., *Veryhachium* cf. *collectum* Wall., *Cleistosphaeridia* *mojsisovicsi* Morby, *Hystrichosphaeridium* div. sp., *Reticulatisporites* *jurasicus* Stanley and Pocock, *Densoisporites* sp., *Contignisporites* *cooksoni* Dettin.; *Alisporites* *parvus* de Yersey.

რღვევიდან 69-ე მეტრზე ისევ შავი ფერის თიხაფიქლებიდან განსაზღვრული *Verrucosporites* sp., *Bennetites* *dilucidus* Bolch., *Cycadopites* sp., *Ephedripites* sp., *Pterosphaeridia* *undulata* Mädler, *Cingulizonates* *marginalis* Mädler, შემცველი შრის რეტელ-ადრელიასურ ასაკზე გიუთითებნ.

სურ. 2. 1—*Rhombosepta kennelbachia* Morby; 2—*Pterosphaeridia undulata* Mädler; 3—*Vetzeniella neocomica* Goth.; 4—*Microhytridium* sp.; 5—*Microhytridium minutispinum* Wall.; 6—*Histrichosphaeridium* sp.; 7—*Fungi*-ს სპორები; 8—*Leiofura* sp.; 9—*Domasia* sp.; 10—*Veryhachium irregularare* Woll.; 11—12—*Veryhachium collectum* Wall.



ჭრილს ქვევით აგრძელებს ქვიშა-თიხოვანი დასტა კარბონატული ქანის შუაშრით, რომელშიც ზედატრიასული ნორიული სართულისთვის დამახასიათებელი მიკროფაუნა იქნა აღმოჩენილი. უფრო ქვევით კი, გაშიშვლებაში 20 მ-იანი ხარვეზის შემდეგ იწყება დიზის სერიის ზედაბალეოზოური ცხენის-წყლის წყება, რომელიც ტრიასულ შრეებს ციცაბო რღვევით ეხება.

პალინომორფების ზემოდმოყვანილი კომპლექსები (ცხრილი 1 და 2) შემცველი შრეების ასაკს გვიანრეტულ-ჰერანგურად საზღვრავენ. ფორმების ძირითადი ჯგუფი მიეკუთვნება *Dino flagellata*-სა და *Acritarcha*-ს, რომლებიც ზღვიურ პლანქტონს წარმოადგენენ. ხმელეთური სპორები — *Pteridophita* საერთოდ იშვიათია, თუმცა № 31 ნიმუშში გვხვდება თითქმის მხოლოდ

ხმელეთური სპორები Pteridophita და Gymnospermae, რაც ხმელეთის მიმდევად ლოკურუ მეტყველებს.

ამრიგად, ღიზის სერიის ზემოთ აღწერილი ზღვიური ნალექები, რომელიც მდე ინგურის ჭრილში ფაუნისტურად დახასიათებულ სინემიურულ და ნორიულ შრეებს შუა იკავებენ ადგილს. შეესაბამება ტრიასულ-იურულის სა-საზღვრო ჩრდილ-ჰეტანგურ მონაკვეთს, რაც კავკასიონის პერიონულ-ძველ კიმერიულ-ალბიური უზის უწყვეტ განვითარებაზე მეტყველებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 30.3.1990)

## ГЕОЛОГИЯ

### Ш. А. АДАМИЯ, Э. ПЛАНДЕРОВА, З. А. КУТЕЛИЯ, О. Д. ХУЦИШВИЛИ РЭТСКО-ГЕТТАНГСКИЕ ОТЛОЖЕНИЯ ДИЗСКОЙ СЕРИИ (СВАНЕТИ)

#### Резюме

Палинологические данные по слоям, расположенным между фаунистически охарактеризованными норийскими и синемурскими отложениями в разрезе р. Ингурьи, указывают на их рэтско-геттантский возраст, что подтверждает мнение о непрерывности развития древне-киммерийско-альпийского морского бассейна Большого Кавказа.

## GEOLOGY

### Sh. A. ADAMIA, E. PLANDEROVA, Z. A. KUTELIA, O. D. KHUTSISHVILI THE RHAETIAN-HETTANGIAN DEPOSITS OF THE DIZI UNIT (SVANETI)

#### Summary

Palynological data from the layers situated between the faunistically characterized Norian and Sinemurian deposits in the cross-section along the Inguri river point to their Rhaetian-Hettangian age, which confirms the opinion on the incessant character of the development of the Old Cimmerian-Alpine marine basin of the Greater Caucasus.

#### ლიტერატურა — REFERENCES

1. З. А. Кутелия. Автореф. канд. дис. Тбилиси, 1983.
2. К. Ш. Нуцубидзе и др. ДАН СССР, 149, № 6, 1963.
3. М. Л. Сомин. Доюрское основание Главного хребта и Южного склона Большого Кавказа. М., 1971.
4. А. А. Белов. Труды ГИН АН СССР, вып. 347, 1981.
5. И. Р. Каҳадзе. Труды ГИН АН ГССР, сер. геол., 1947, т. 3(8).
6. Ш. А. Адамия. Труды ГИН АН ГССР, нов. сер., вып. 16, 1968.
7. Ш. А. Адамия. Труды ГИН АН ГССР, нов. сер., вып. 86, 1984.